

## საჯარო ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნება

მონაცემთა გაცვლის სააგენტოს მიერ გაწეული სერვისების შესახებ ინფორმაცია

(ა) მონაცემთა გაცვლის სააგენტო საჯარო და კერძო სექტორის დაინტერესებულ წარმომადგენლებს, ინფორმაციული უსაფრთხოების საკითხებით დაინტერესებულ პირებს, ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერებსა და კომპიუტერული უსაფრთხოების სპეციალისტებს სთავაზობს შემდეგი ტიპის **ტრეინინგ სერვისებს**:

- ტრეინინგის ციკლი „ინფორმაციული უსაფრთხოების საფუძვლებში“;
- ტრეინინგის ციკლი კომპიუტერულ ინციდენტებზე რეაგირების საფუძვლებში.

(ბ) „ინფორმაციის ერთიანი სახელმწიფო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, მონაცემთა გაცვლის სააგენტო უზრუნველყოფს ინფორმაციის ერთიანი რეესტრის შექმნას ე.წ. „**რეესტრთა რეესტრს**“, რომლის მეშვეობითაც მომხმარებელს საშუალება ექნება გაეცნოს ადმინისტრაციულ ორგანოებში არსებული მომსახურების, ბიზნეს პროცესების, მონაცემთა ბაზებისა და რეესტრების შესახებ ინფორმაციას.

(გ) **IP მონიტორინგის სერვისი**. მონაცემთა გაცვლის სააგენტოს კომპიუტერულ ინციდენტებზე დახმარების ჯგუფი (CERT.GOV.GE) როგორც საჯარო, ასევე კერძო დაწესებულებებს სთავაზობს IP მონიტორინგის სერვისს, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს კომპიუტერულ ქსელში დაინფიცირებული IP მისამართებისა და გატეხილი ვებ გვერდების გამოვლენას.

(დ) **სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალი (my.gov.ge)** - მონაცემთა გაცვლის სააგენტო სახელმწიფო სერვისების ელექტრონული პორტალის საშუალებით მომხმარებელს სთავაზობს „ერთი ფანჯრის“ პრინციპით სახელმწიფო ელექტრონული სერვისების ონლაინ, ელექტრონულ რეჟიმში მიწოდებას.